

పక్షిపాత



I. ზოგადი მიმოხილვა

1. ტერიტორიის ფართობი

აჭარის ტერიტორიის ფართობი 2900 კვ.კმ-ია რაც მთლიანი ტერიტორიის 4.2%-ს შეადგენს.



რეგიონს ესაზღვრება გურია და სამცხე-ჯავახეთი. სამხრეთით აჭარას სახელმწიფო საზღვარი აქვს თურქეთის რესპუბლიკასთან.

2. თვითმმართველი ერთეულები

რეგიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია: **ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი ბათუმი.** ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა, მერია) ორგანოების მიერ. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. ხოლო ადმინისტრაციული ცენტრია – თვითმმართველი ქალაქი - ბათუმი. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის 376 კმ-ია.

II. ბუნებრივი რესურსები და გარემო

1. მინერალურ-რეკრეაციული რესურსი

აჭარაში არსებული მინერალურ-რესურსული ბაზა ფერადი მეტალურგიისა და ოქროს წარმოების საშუალებას იძლევა. ლითონების სამრეწველო მარაგებია:

სპილენძი, ტყვია, თუთია. მადანშემცველ ქანებში დაფიქსირებულია ვერცხლისა და ოქროს იშვიათი ელემენტების: სელენის, ტელურის, კადმიუმის, სტრონციუმის სამრეწველო შემცველობები.

რეგიონში ცნობილია ფერადი და სანაკეთობო ქვების რამდენიმე სახეობა, მაღალდეკორატიული იასპის, აქატის, ოპალის, კალცედონის და ფისისებრი ბაზალტი.

2. წყლის რესურსი

რეგიონი მდიდარია წყლის რესურსით. ძირითადი წყლის არტერიებია: მდ. ჩოლოქი, კინტრიში, აჭყვა, ჩაქვისჭყალი, ყოროლის წყალი, ბარცხანა, ჯოჭოსწყალი, ჭარნალი ჭოროხი, მაჭახელასწყალი და აჭარისწყალი.

3. ენერგეტიკა

აჭარის ტერიტორიაზე განლაგებულია მცირე სიმძლავრის ხუთი ჰიდროელექტრო სადგური:

- “აწ-ჰესი”- ქედა;
- “სანალია ჰესი”- შუახევი;
- “მაჭახელა ჰესი”- ხელვაჩაური;
- “აჭი ჰესი”- ქობულეთი;
- “კინკიშა ჰესი”- ქობულეთი.

რეგიონის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ელექტროსისტემის ბალანსზე რიცხული 220 კვ ძაბვის ელექტრო გადამცემი სახეები „პალიასტომი – I” და „პალიასტომი – II”, 110 კვ ძაბვის ე.გ.ხ. „ანასეული” და „ჩაქვი” და სხვა.

რეგიონს ემსახურება 110/35/10-6 კვ ძაბვის 46 ერთეული მაღალი ძაბვის დამწვევი ქვესადგური:

- ბათუმი - 7
- ქობულეთი - 9
- ხელვაჩაური - 10
- ქედა - 7
- შუახევი - 5
- ხულო - 8

III. ადამიანური, სოციალური და კულტურული კაპიტალი

1. მოსახლეობა

2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით რეგიონის მოსახლეობა 382.4 ათას ადამიანს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 8.7%-ია. 2008 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა 0.6%-ით შემცირდა.

თვითმმართველი ერთეულების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობის (2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით) მეტი წილი ქ. ბათუმზე მოდის – 122.5 ათასი კაცი, რაც აჭარის მთლიანი მოსახლეობის 32%-ია. შემდეგ მოდის: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – 92.8 ათასი კაცი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 89.8 ათასი კაცი, ხულოს მუნიციპალიტეტი – 35 ათასი კაცი, შუახევის მუნიციპალიტეტი – 22.3 ათასი კაცი და ქედის მუნიციპალიტეტი – 20 ათასი კაცი.

აჭარაში 2008 წელს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა იყო 5391 კაცი, რაც საქართველოში სულ დაბადებულთა რაოდენობის 9.5%-ია, ხოლო გარდაცვალებულთა რაოდენობამ 2813 კაცი შეადგინა.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა აჭარაში შემდეგი სახისაა:

- ქართველი – 324 800 კაცი;
- აფხაზი – 1600 კაცი;
- ოსი – 200 კაცი;
- რუსი – 9100 კაცი;
- უკრაინელი – 1100 კაცი;
- აზერბაიჯანელი – 500 კაცი;
- სომეხი – 8 800;
- ბერძენი – 2 200 კაცი;
- სხვა ეროვნების – 1 400.

(2007 წლის მონაცემები)

2. ბანათლება

რეგიონში ფუნქციონირებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:

- შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ბათუმის საზღვაო აკადემია;
- ბათუმის უცხო ენათა ინსტიტუტი;
- ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი;
- სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტი;
- ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტი და სხვა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობამ 2008/2009 წლებში 5305 სტუდენტი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოს სტუდენტთა რაოდენობის 5.7%-ია.

3. სოციალური უზრუნველყოფა

პენსიონერების რიცხოვნობა აჭარაში 2008 წელს 63 232 კაცი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოში პენსიონერთა რაოდენობის 7.5%-ია.

4. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე არქიტექტურისა და კულტურის ძეგლებს შორის უმნიშვნელოვანესია: გონიოს ციხე, ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე სხალთის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, XIII საუკუნის ღვთისმშობლის ტაძარი, მარანი და ფრაგმენტულად დაცული ეზოს გალავანი.

აღნიშვნის ღირსია ბათუმის ბოტანიკური ბაღი - რომელიც გაშენებულია ბათუმიდან 9 კმ-ის დაშორებით, მწვანე კონცხზე, 111 ჰა ფართობზე. ბაღში სამი დენდროპარკი, კოლხეთის ტყის ნაკრძალი და ლანდშაფტურ-გეოგრაფიული პრინციპით შექმნილი 9 ფლორისტული განყოფილებაა.

IV. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

1. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

აჭარაში მოქმედი შპს „აჭარის ელექტროკავშირის“ საქმიანობის სფერო მთლიანად მოიცავს ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებით მომსახურებას, როგორცაა ადგილობრივი სატელეფონო კავშირი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირი, სატელეგრაფო კავშირი და რადიო-უზრუნველყოფა.

რეგიონში კავშირგაბმულობის დარგი წარმოდგენილია ოთხი კომპანიით: შპს „აჭარის ელექტროკავშირი“, შპს „საბატელი“, შპს „ვემატელი“ (4000 ნომრით), შპს „ალკომი“ (250 ნომრით).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინტერნეტქსელით მომსახურებას ეწევიან შემდეგი ინტერნეტპროვაიდერული კომპანიები: „ონლაინი“, შპს „ატელი“, „ალფატელეკომი“, „სი ტი ეს“. ინტერნეტმომსახურება მოიცავს მხოლოდ ქ. ბათუმსა და ქ. ქობულეთს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ითვლება ფიჭური კავშირით მომსახურების დაფარვის ზონად. აჭარის მოსახლეობა ძირითადად სარგებლობს მობილური კომპანიების მაგთისა და ჯეოსელის მომსახურებით.

2. საგზაო ინფრასტრუქტურა

აჭარის ტერიტორიაზე საავტომობილო გზა შედგება საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი (სასოფლო) მნიშვნელობის მონაკვეთებისაგან.

რეგიონში სულ 1377 კმ სიგრძის საავტომობილო გზაა. მათ შორის: ქობულეთში – 324 კმ, ხელვაჩაურში – 209 კმ, ქედაში – 197 კმ, შუახევში – 278 კმ და ხულოში – 213 კმ.

2004-2008 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ჯამში **49 კმ. სიგრძის** საგზაო მონაკვეთზე. 2009 წელს სამუშაოები მიმდინარეობს **10 კმ-ის გზის** მონაკვეთზე.

V. ადგილობრივი ეკონომიკა

1. რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები

რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა აჭარაში 2009 წლის I კვარტალში 15 369 კაცი დაფიქსირდა, რაც საქართველოში სულ რეგისტრირებულ ადამიანთა რაოდენობის 5.6%-ია.

2008 წელს რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობამ რეგიონში 14206 შეადგინა.

2. დასაქმება

2008 წელი	აჭარა		საქართველო
	რაოდენ.	წილი	რაოდენობა
სულ აქტიური მოსახლეობა	164.2	8.6	1917.8
მომუშავე	122.2	7.6	1 601,9
დაქირავებული	44.7	7.8	572,4
თვითდასაქმებული	77.4	7.5	1 028,5
გაურკვეველი	0.1	6.5	1,1
უმუშევარი	42.1	13.3	315,8
უმუშევრობის დონე (%)	25.6	155.5	16,5
აქტიურობის დონე (%)	59.6	95.5	62,6
დასაქმების დონე (%)	44.4	84.8	52,3


დასაქმებულთა რაოდენობა აჭარის რეგიონში 2009 წლის I ნახევარში იყო 24 139 კაცი, რაც საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობის 7.6%-ს შეადგენს.

3. ეკონომიკა

აჭარის რეგიონში შექმნილმა მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 1288.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მანუშეებზე 2.0%-ით მეტია, ხოლო საქართველოს მასშტაბით შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 7.8%-ია.

რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი სახელმწიფო მმართველობის სექტორს უკავია – 226.9 მლნ. ლარი, რაც მთლიანი მოცუ-

ლობის 17.6%-ია, შემდეგ მოდის ვაჭრობა – 15.2%, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 14% და ა.შ.



აღსანიშნავია, რომ 2008 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი ზრდა სახელმწიფო მმართველობის სექტორში – 52.0% დაფიქსირდა, ხოლო სოფლის მეურნეობაში – 24.8%.

რეგიონში 2004-2008 წლებში ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროში გაიზარდა პროდუქციის გამოშვების და ბრუნვის მოცულობა. ცხრილში წარმოდგენილია 2008 წლის მონაცემები.

2008 წელი		საქარ-თველო	აჭარა	
		რაოდ	რაოდ	%
მრეწველობა	დასაქმება (კაცი)	85 711	4 659	5,4%
	ბრუნვა (მლნ. ლ)	4 637,6	107,7	2,3%
	გამოშვება (მლნ.ლ)	3 821,8	96,1	2,5%
სამმწარმოო სფერო	დასაქმება (კაცი)	349 250	29 229	8,4%
	ბრუნვა (მლნ. ლ)	19 650,7	1 007,9	5,1%
	გამოშვება (მლნ.ლ)	10 248,4	584,4	5,7%
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	დასაქმება (კაცი)	50 560	3 670	7,3%
	ბრუნვა (მლნ. ლ)	3 004,7	131,1	4,4%
	გამოშვება (მლნ.ლ)	2 043,6	114,9	5,6%
მშენებლობა	დასაქმება (კაცი)	38 109	5 351	14,0%
	ბრუნვა (მლნ.ლ)	1 412,0	239,2	16,9%
	გამოშვება (მლნ.ლ)	1 434,7	240,0	16,7%
ვაჭრობა	დასაქმება (კაცი)	55 278	4 507	8,2%
	ბრუნვა (მლნ.ლ)	9 238,0	446,6	4,8%
	გამოშვება (მლნ.ლ)	1 464,7	50,8	3,5%

4. სოფლის მეურნეობა

აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის შემდეგი პროდუქტები იწარმოება: სიმინდი, ლობიო, კაროფილი, ბოსტნეული, თამბაქო, ხილი, ციტრუსი, ყურძენი, ჩაი. აქედან ყველაზე მეტად აჭარის რეგიონში ციტრუსის წარმოებაა განვითარებული.


სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან პრივატიზირებულია 4 350 ჰა. აქედან:

- ხელვაჩაური – 236 ჰა;
- ქობულეთი – 2 555 ჰა;
- შუახევი – 379 ჰა;
- ხულო – 1 180 ჰა.

რეგიონში ფუნქციონირებს რამდენიმე ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო, 5 წისქვილკომბინტი, 4 მსხვილი პურის ქარხანა, ერთი აგროსერვისცენტრი და სხვა.

სასოფლო სამეურნეო სავარგულების მოცულობა 72 862 ჰა-ს შეადგენს. აქედან:

- საძოვარი – 37759 ჰა;
- სახნავი – 10309 ჰა;
- სათიბი – 7159 ჰა;
- სასვენნი – 1736 ჰა;
- სხვა დანარჩენი – 15899 ჰა.



5. სამშენებლო სექტორი

აჭარაში 2007 წელს ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლზე გაიჭა – 169 ნებართვა. აქედან საპროექტო ობიექტების

მოცულობა იყო – 115288.34 კუბ.მ, საპროექტო ობიექტების საერთო ფართობი იყო – 89207.53 კვ.კ, მოშენების – 31164.56 კვ.მ, მიწის ნაკვეთის – 98981.2კვ.მ.

2008 წლის I-III კვ. აჭარის რეგიონში გაცემული იქნა 248 ნებართვა და ობიექტის საერთო საპროექტო ფართი შეადგენდა – 98852.4 კვ.მ. 2007 წელს რეგიონში გაცემული იქნა 399 ნებართვა და ობიექტის საერთო საპროექტო ფართი შეადგენდა – 547706 კვ.მ.

6. საწარმოები

2009 წლის მონაცემებით აჭარაში მოქმედ საწარმოთა რაოდენობამ 3125 ერთეული შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობის 8.5%-ია. მათ შორის:

- მსხვილი საწარმოა – 170;
- საშუალო საწარმო – 289;
- მცირე საწარმო – 2666.

რეგიონში მოქმედი მსხვილი საწარმოებია:

ბათუმი

- შპს “ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური” – ტვირთის სატრანსპორტო დამუშავება;
- შპს “ბონუსი” – საბითუმო ვაჭრობა ავტომობილის ბენზინით;
- შპს “ნუროლ საქართველო” – შენობების საერთო მშენებლობა;
- შპს “ბათუმის წყალი” – წყლის დაგროვება, გაწმენდა და განაწილება;
- შპს “აჭარის ბუნებრივი აირი” – აირისებრი სათბობის განაწილება მილსადენებით და მისი გაყიდვა;
- შპს “აჭარის ელექტროკავშირი” – ელექტრო კავშირი;
- შპს “ბათუმიტექსი” – სპეციალიზებული ზედა ტანსაცმლის წარმოება და სხვა.

ქობულეთი

- შპს “ანაჩი” – საბითუმო ვაჭრობა შავი და ფერადი ლითონებით ჯართითა და ნარჩენებით;
- შპს “ბომბორი” – საცალო ვაჭრობა ძრავის სათბობით;

ხელვაჩაური

- შპს “ჰოლდერი” – შენობების საერთო მშენებლობა;
- შპს “გზები” – გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
- შპს “ურეხი” – ფქვილის წარმოება;
- შპს “ბაკოილი” – ნავთობგადამუშავების პროდუქტების წარმოება;
- შპს “DEKO–დეკო” – ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება;
- შპს “ტერმინალი-ტორია” – საავტომობილო ტრანსპორტის ფუნქციონირება;
- შპს “ოცნება” – კერამიკული ფილების წარმოება. ანგისა;
- შპს “გრანიტი” – სასაქონლო გრანიტის წარმოება;
- შპს “ორცვა” – ფქვილის წარმოება და სხვა.

7. საფინანსო სექტორი

აჭარის ტერიტორიაზე მოქმედებს კომერციული ბანკების – 19 და მიკროსაფინანსო – 4 ორგანიზაცია.

ბათუმი: საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალი, “საქართველოს ბანკი”, “სახალხო ბანკი”, “თიბისი ბანკი” “ბანკი რესპუბლიკა”, “პროგრედიტბანკი”, “ბანკი ქართუ”, “ვითიბი ბანკი ჯორჯია”, “აგროინვესტბანკი”, “ტაო ბანკი” “ბაზის ბანკი”, “ბტა სილქროუდ ბანკი”.

ასევე საკრედიტო დაწესებულებები: “ფინკა საქართველო”, “ფონდი კონსტანტა”, “Vf კრედო” და “BBK Fin Group”.


ქობულეთი: “საქართველოს ბანკი”, “პროკრედიტბანკი”, “სახალხო ბანკი”, საკრედიტო დაწესებულებები “ფინკა საქართველო”, “Vf კრედო”.

ასევე “სახალხო ბანკი”, ხელვაჩაურის, ხულოს, ქედის და შუახევის მხარეში.

8. პრივატიზაცია

2008 წელს პრივატიზებული ობიექტების რაოდენობამ რეგიონში 114 ერთეული შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 14%-ით ნაკლებია, ხოლო მთლიანად საქართველოში პრივატიზებული ობიექტების 18%-ია.

2004 წლიდან დღემდე აჭარის რეგიონში პრივატიზებულია 424 ობიექტი, რაც მთლიანად საქართველოში 2004 წლიდან პრივატიზებული ობიექტების 15%-ია.



9. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა

რეგიონის განვითარებისათვის მრავალი პროექტი ხორციელდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ეს პროექტებია:

- ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა “ემ-სი-ჯი”, ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა საქართველო;

- გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში – „დასაქმების ხელშეწყობისა და მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარების პროგრამა“;
- მსოფლიო ბანკის პროექტები, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი;
- სურსათით უზრუნველყოფის, რეგიონალური თანამშრომლობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში (GTZ);
- CHF International, World Vision International საქართველოში ;
- ურბანული ინსტიტუტები;
- ფინკა საქართველო;
- ფონდი კონსტანტა;
- ფონდი “ღია საზოგადოება საქართველო“;
- მიწის მფლობელთა უფლებების დაცვის ასოციაცია;
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი.

10. უცხოური ინვესტიციები

აჭარაში განხორციელდა შემდეგი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები:

- ფრანგული ინვესტიცია – შპს “თოლია“;
- რუსული ინვესტიცია – შპს “ინტურისტ პალასი“;
- ყაზახური ინვესტიცია – სს “აჭარის კურორტების“;
- ავსტრიული ინვესტიცია – ფეხბურთის სტადიონის რეაბილიტაცია;
- თურქული ინვესტიცია – შსს სამინისტროს შენობის რეაბილიტაცია;
- დანიური ინვესტიცია – შპს “შელფი“.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობით ფუნქციონირება დაიწყო ხილის გადამამუშავებელმა საწარმოებმა შპს „ნარინჯი“ და „ქართული პროდუქტი“. შპს ნარინჯმა 2008 წელს მიიღო 1 000 000 ლარი

სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში.

11. საინვესტიციო პოტენციალი

პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობს, როგორც ქართული, ასევე უცხოური კაპიტალი. განსაკუთრებით, ყაზახური, თურქული, უკრაინული, რუსული, სომხური, დანიური, ჰოლანდიური, ბრიტანული, ფრანგული და სხვა ქვეყნების ინვესტიციები.

რეგიონში შექმნილ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

- აჭარის გეოსტრატეგიული მდებარეობა;
- კვალიფიციური და იაფი მუშახელის არსებობა;
- მიმზიდველი საწარმოო და საცხოვრებელი პირობების არსებობა;
- ხელსაყრელი საექსპორტო რეჟიმები (WTOS -ს წევრობა, GSP-ი რეჟიმით სარგებლობა);
- ლოგისტიკური, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის არსებობა;
- მაღალხარისხიანი ნედლეულის და მდიდარი ბუნებრივი რესურსების არსებობა;
- ბიზნესისა და მომსახურების გარემოს გაუმჯობესება;
- პირდაპირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას მთავრობის მხარდაჭერა.

VI. ტურიზმი

1. კურორტები და პოტენციური საკურორტო ადგილები

ტურიზმი აჭარის რეგიონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. რეგიონში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული ინვესტიციების და ტურიზმის სფეროში დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების განხორ-

ციელება, ასევე სატურისტების, რესტორნების, გასართობი ცენტრების მშენებლობა, რაც ქმნის ტურიზმის განვითარების კარგ პერსპექტივებს რეგიონში.

ზღვისპირა კურორტებია: ბათუმი, მახინჯაური, ქობულეთი. საკურორტო ადგილებია: ბობოყვათი, გონიო-სარფი, ფიჭვნარი, ბეშუმი, ციხისძირი, ბათუმის მთა, მწვანე კოცხი, ბოძაური, კინტრიში, კოკოტაური, სარიჩაი, საღორია, სკურდას მთა ტომაშეთი, ჩირუხი, ცისკარა, ხინოს მთა და ჯინალი.

თითოეული კურორტი ან საკურორტო ადგილი ხასიათდება შემდეგი სავარაუდო სამედიცინო პროფილით: კარდიოლოგიური, ნავროლოგიური, პროფილაქტიკური, პულმონოლოგიური, ართროლოგიური, გასტროენტეროლოგიური და სხვა.


2. თეატრების და მუზეუმების რაოდენობა აჭარაში

მხარეში ფუნქციონირებს: ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატული თეატრი, ბათუმის მოზარდ-მაყურებელთა და თოჯინების სახელმწიფო თეატრი, ხულოს სახელმწიფო თეატრი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი და ციხისძირის მუზეუმ-ნაკრძალი.

VII. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები


1. საბადასახადო, არასაბადასახადო და კაპიტალური შემოსავლები

2008 წელს რეგიონში საბადასახადო, არასაბადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 131.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლების 27.4%-ია.




2. ქონების გადასახადი

აჭარის მხარეში 2008 წელს ქონების გადასახადიდან შემოსულმა თანხამ 10,2 მლნ ლარი შეადგინა, რაც მთლიანად საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ქონების გადასახადიდან შემოსული თანხის მხოლოდ 7.8%-ია.




მათ შორის აღსანიშნავია, რომ ქონების გადასახადში ყველაზე მაღალი წილი საწარმოთა ქონების გადასახადს უკავია, მთლიანი გადასახადის 70.7%.



3. ადგილობრივი მოსაკრებლები

2008 წელს ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 5 801.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლის მხოლოდ 9.3%-ია.



4. ფინანსური დახმარებები

ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსურმა დახმარებებმა ტრანსფერის სახით 21 527.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით გაცემული ტრანსფერების მხოლოდ 4.3%-ია.

